კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #6

2015 წლის ივნისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt

Brot für die Welt –
Evangelischer
Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 1 ივნისი - 30 ივნისი - მიღწეული შედეგები:

ტრენინგი ძალადობის პრობლემის პრევენციის მიზნით
ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი ბორჯომში. მასში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს რვა ქალაქის: ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთის, ბათუმის ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების 23 წარმომადგენელი. ტრენინგის დასასრულს შემუშავდა სამოქმედო გეგმების პროექტები ცალკეული ქალაქების მიხედვით, ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის პრობლემის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების მიზნით.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სოციალურ სამსახურებთან და მიღებულ ინფორმაციებს ავრცელებენ სამობილიზაციო შეხვედრებზე.
- მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, საქმის კურსში არიან, რა სიახლეებია ადგილობრივ საკანონმდებლო ხელისუფლებაში,
- ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი შეხვდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ისაუბრეს ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამებზე სოციალურად დაუცველთათვის და სიახლეებზე ჯანდაცვის კუთხით.
- ყოველთვიური შეხვედრები გაგრძელდა სოციალური სამსახურის უფროსებთან. ექვსივე ცენტრის მობილიზატორებმა მიაწოდეს ინფორმაციები, რას აკეთებენ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები ძალადობის პრევენციისათვის და რა პრობლემებს აწყდებიან მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

დამატებითი ღონისძიებები ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
-ქალთა მობილიზაციისა და ახალი ბენეფიციარების მოზიდვის მიზნით ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა შეხვედრა ექიმ-

რეპროდუქტოლოგთან. საუბარში ჩაერთო 13 ქალი, მათ შორის 5 პირველად ესწრებოდა ასეთ ღონისძიებას.

პრობლემათა ადვოკატირება ცენტრების მობილიზატორების დახმარებით

-ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორის დახმარებით ყოფილი ვენდისპანსერის შენობაში ჩასახლებულმა დევნილებმა დაიწყეს პრობლემის ადვოკატირება: მომზადდა წერილი, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და უმძიმესი საცხოვრებელი პირობებია. წერილი გაეგზავნა დევნილთა სამსახურს. წერილის საფუძველზე ელოდებიან რეაგირებას და შესაბამისად გაგრძელდება ადვოკატირების პროცესი.

-სენაკში ცენტრის მობილიზატორს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. მას დაბალი ქულები მოუვიდა სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებით და არ იცოდა, ვისთვის მიემართა. მომზადდა წერილი და ხელახლა მოხდება მისი შემოწმება სოციალური აგენტის მიერ. ამავე ქალბატონმა არ იცოდა, როგორ მიეღო ციფრული მაუწყებლობისთვის საჭირო მოწყობილობა, რომელიც სოციალურად დაუცველებისთვის უფასოა. აღნიშნული პრობლემა მობილიზატორის დახმარებით მოგვარდა.

-ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ლიდერთა ინიციატივით შეგროვდა ტანსაცმელი და გაეგზავნა თბილისში წყალდიდობის დროს დაზარალებულებს.

-სენაკში ცენტრის მობილიზატორებს დაუკავშირდა პოლიციელი, რომელიც ოჯახურ ძალადობაზე მუშაობს. მისი ბენეფიციარი არის მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი - ქალბატონი შვილთან ერთად ფონდის ფსიქოლოგთან გაივლის ფსიქორეაბილიტაციას.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი.

-შეივსო 10 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს და ძალადობას ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. 10-დან ორმა ისარგებლა ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისით, დანარჩენები კი რჩებიან მობილიზატორთა მხედველობის არეალში - მათთან მიმდინარეობს საინფორმაციო მუშაობა.

გაიზარდა მიმართვა იურისტებთან და ფსიქოლოგებთან. კონსულტაციების მეშვეობით დარეგულირდა კონკრეტული შემთხვევები

- ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე 2 ძალადობის მსხვერპლის ზარი დაფიქსირდა. მათ შორის ერთი ბენეფიციარი ინდივიდუალურად გააგრძელებს ფსიქოლოგთან კონსულტაციას.

- ქუთაისში, ხარებავას ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებს შეხვდა იურისტი. ისინი რამდენიმე წლის წინ შეასახლეს აღნიშნულ შენობაში ისე, რომ კაპიტალური რემონტი არ გაუკეთებიათ. ოთხსართულიან შენობას დევნილებმა მე-5 სართული დაამატეს, რამაც შენობა საცხოვრებლად საშიში გახადა, რადგანაც ჭერი ჩამოწეულია და მისი დანგრევის საფრთხე არსებობს. იურისტის დახმარებით მომზადდა წერილი და გაეგზავნა შესაბამის უწყებებს.

-იურისტს მიმართა ძალადობის მსხვერპლმა ქალბატონმა. მისი მეუღლე კონფლიქტშია მასთან და ქალიშვილთან. კონსულტაციის შემდეგ ქალბატონმა მიმართა პოლიციას. მის მეუღლეს ხელწერილი ჩამოერთვა. განმეორების შემთხვევაში პოლიცია სხვა ზომებს მიიღებს.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ლიდერები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ სამობილიზაციო შეხვედრებს.

- სოფლებში მუშაობამ აჩვენა თანამშრომლობის ეფექტურობა და მისი გაგრძელების აუცილებლობა.

- მობილიზატორების სამობილიზაციო შეხვედრები სოფლებში გრძელდება, რასაც შედეგად მოჰყვა თანამშრომლობის გაფართოება ცენტრის ლიდერებსა და სოფლის გამგეობის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივი გამგეობა ინფორმირებულია იმ

აქტივობებზე, რომელსაც ეწევა ფონდი „სოხუმი“ ძალადობის პრობლემის პრევენციის მიზნით.
გაიმართა გასვლითი შეხვედრები: სოფელ ივანდიდში (ხონის მუნიციპალიტეტი) - შეხვედრა ფსიქოლოგთან და იურისტთან, ხოლო სოფელ ხორშში (სენაკის მუნიციპალიტეტი) და სოფელ თერნალში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) - სამობილიზაციო შეხვედრები.

ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენ-ტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი ჩაღრმავებული ინტერ-ვიუ ბათუმსა და ქუთაისში.
-ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა რეფერალურ სუბიექტებთან ბათუმში, გამოიკვეთა მათ შორის დაბალი ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი.
- ქუთაისში ფოკუს-ჯგუფის მეთოდით გამოიკითხა ბაგა-ბაღებისა და სკოლის პედაგოგები, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით - ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი და სოციალური სამსახურის უფროსი. აღინიშნა, რომ საბავშვო ბაღებში ბევრია ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, მაგრამ არ არის ასეთ ფაქტებზე გავლენის და მხარდაჭერის კოორდინაციის მექანიზმი.
- ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი მასალა საერთო ანალიზის გასაკეთებლად.

გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან. გაჩნდა ახალი ინიციატივები
-ვორკშოპის შემდეგ ახალგაზრდების ჯგუფს სენაკში გაუჩნდა იდეა, სკოლებში დანერგონ კვირაში ერთხელ „თავისუფალი საათი“. მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, ჩაატარონ დისკუსიები ახალგაზრდებისთვის აქტუალურ საკითხებზე.
- ფოთში ქალების ჯგუფთან ჩატარებულ ვორკშოპზე მონაწილეები გამოვიდნენ ინიციატივით, სკოლებში ყოველთვიურ მშობელთა კრებებზე იმსჯელონ არა მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხებზე და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ გაიმართოს დისკუსია ბულინგზე, ოჯახურ კონფლიქტებზე, ძალადობაზე, კომუნიკაციაზე.
- ერთი ქალი ვორკშოპის მერე გადამისამართდა ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე - მას, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჰქონდა დეპრესიული ფონი.

ფორუმ-თეატრმა გააგრძელა წარმოდგენები ძალადობის თემაზე
- ფორუმ-თეატრის გამოსვლა ჩატარდა ხონის ცენტრალურ პარკში. მაყურებელთა დიდი ნაწილი ახლგაზრდები იყვნენ, აქტიურობაც შესაბამისად მაღალი იყო.
- ფორუმ-თეატრმა მონაწილეობა მიიღო ბორჯომში ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს 6 ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. წარმოდგენები ძალადობის თემაზე ეფექტური გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ ტრენინგის მონაწილეები განიხილავდნენ ძალადობის პრევენციულ მექანიზმებს.
- ბათუმის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ბათუმის ახალგაზრდები - არაძალადობრივი საზოგადოებისთვის“ ფარგლებში ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრმა N2 სკოლაში გამართა წარმოდგენები - მაყურებელთა რაოდენობამ 50-ს გადააჭარბა. აქ შეიკრიბნენ ქალაქის 6 სკოლის წარმომადგენლები. ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრი ხელს უწყობს ამ სკოლებში ფორუმ-თეატრების ჩამოყალიბებას. ჩატარდა კასტინგი და თითო სკოლიდან არჩეულ იქნა 5 მსახიობი და დაიგეგმა მასტერ-კლასები ბათუმელი ახალბედა მსახიობებისთვის.

აქტიურად მუშაობენ ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული კლუბები: ახალ ადგილებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო ახალი ბენეფიციარების მოზიდვას.

-უკვე ტრადიციად იქცა, ფოთში ახალგაზრდული კლუბის მუშაობაში ახალგაზრდებთან ერთად პედაგოგების ჩართვა. მათი აზრით, სადისკუსიო თემები იმდენად აქტუალურია, რომ პედაგოგები ამ შეხვედრებით კარგად სწავლობენ საკუთარ მოსწავლეებს, მათ ფსიქოლოგიას და მისწრაფებებს.
- კოკის საჯარო სკოლის მოხალისეებმა საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს სოფელ ორსანტიაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე.
- წყალტუბოს ჯგუფმა სოფელ ბანოჯაში მოაწყო ახალგაზრდებთან შეხვედრა თემაზე: „ქალთა მიგრაცია და მისი გავლენა ოჯახზე“.
-სენაკის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც ახალგაზრდული კლუბის მოხალისეები არიან, ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები სენაკის ორ სკოლაში ტრეფიკინგის თემაზე.
- ხონის და სენაკის თითო წარმომადგენელი დაინიშნა ხონისა და სენაკის საკრებულოებთან შექმნილი ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ. ისინი ხელს შეუწყობენ ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდულ კლუბებზე წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას.

ივნისში ჩატარდა 78 აქტივობა.
მონაწილეობა მიიღო 951 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემაზე „ბავშვთა უფლებები, საერთაშორისო კონვენციები ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით“ – 442 მონაწილე
1 ტრენინგი თემაზე „ძალადობის პრევენციული მექანიზმების შემუშავება“ - 23 ადამიანი
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 81 ადამიანი
6 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში - 51 მონაწილე
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 48 მონაწილე.
8 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 52 მონაწილე
6 ახალგაზრდული კლუბი – 89 მონაწილე
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 91 მონაწილე
2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 56 მონაწილე
4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 18 მონაწილე

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

ქუთაისი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა ყოფილი ვენდისპანსერის, ყოფილი მე-5 დაწყებითი სკოლის და სამთო ტექნიკუმის კოლექტიურ ცენტრებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრა თემაზე „ურთიერთობა სხვებთან“.
კოლექტიურ ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები თემაზე: „ურთიერთობა სხვებთან“.
იურისტის კონსულტაცია გაიმართა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ადმინისტრაციულ კანონზე.
იურისტმა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა აგრეთვე ქუთაისის 8 სხვა-დასხვა კოლექტიურ ცენტრში.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ფონდ „სოხუმში“ ტრეფიკინგის თემაზე.

ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალგაზრდების ჯგუფთან თემაზე „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“

წყალტუბო

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: მე-2 საბავშვო ბაღი, ახალი რაიონის სახლები #9 და #12, სასტუმრო „ცენტროსოიუზი“, სასტუმრო „წყალტუბო“, სოფელი თერნალი.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „ძალადობის გავლენა მოზარდების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე“.
იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის თემა იყო ინფორმაციის თავისუფლება, პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა.
წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ტრეფიკინგი“.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალთა მხარდაჭერის ცენტრში - ქალების ჯგუფთან თემაზე: „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“.

ხონი

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##81, 83, 84, 89, 91 სახლებში და დავით აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლებთან.
სოფელ ივანდიდში ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრა თემაზე „ძალადობის გავლენა მოზარდების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე“.
იურისტმა საინფორმაციო შეხვედრაზე ისაუბრა თემაზე: ბავშვთა უფლებები, ადამიანის უფლებები, საკანონმდებლო დოკუმენტები.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა მიეძღვნა ტრეფიკინგის თემას.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალთა მხარდაჭერის ცენტრში, ახალგაზრდების ჯგუფთან თემაზე „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“, შემდეგ კი ახალგაზრდების ჯგუფმა გამართა საიფორმაციო შეხვედრა სოფელ ბანოჯაში.

ფოთი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: ახალი რაიონი - გაგრის ქუჩა ##9, 10, 10ა, 12, 13, 15 სახლებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „ძალადობის გავლენა მოზარდების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე“.
გაიმართა იურისტის კონსულტაცია შემდეგ საკითხებზე: გირავნობა და მასთან დაკავშირებული იურიდიული პროცედურები, ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება და მისი მნიშვნელობა.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ფოთის მე-7 საჯარო სკოლაში თემაზე „ტრეფიკინგი“.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალ რაიონში, ქალების ჯგუფთან თემაზე „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“.

სენაკი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: სასტუმრო „მენჯი“, სასტუმრო „ეგრისი“, „კოლხეთი“, პროფ-ტექნიკუმი, პროფსასწავლებელი #139, სოფელი ხორში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „ურთიერთობა სხვებთან “.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხით: საკუთრების ცნება, საკუთრების უფლება, მესაკუთრისა და მფლობელის ვალდებულებები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა პირველ საჯარო სკოლაში ტრეფიკინგის თემაზე.
ახალგაზრდების ჯგუფთან ვორკშოპი მიეძღვნა თემას „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“. კლუბის მოხალისეებმა ტრეფიკინგის თემაზე დამოუკიდებლად ჩაატარეს ვორკშოპი ორ სკოლაში.

ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.
ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „ურთიერთობა სხვებთან“. ესწრებოდნენ სოფელ კოკიდან ჩამოსული ქალებიც.
იურისტის კონსულტაციაზე დაისვა საკითხი, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ვის შეიძლება მიმართოს ძალადობის მსხვერპლმა ან მისმა ახლობელმა და რა შეიძლება გააკეთოს.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან თემაზე „ბულინგი, აგრესია ახალგაზრდებში, ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები“
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა რეპროდუქტოლოგის საუბრები თემაზე: კლიმაქსი და მასთან დაკავშირებული ცვლილებები ორგანიზმში.
კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ტრეფიკინგის ნეგატიურ შედეგებზე. კოკის ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა სოფელ ორსანტიის სკოლაში გამართეს შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

ისტორიები (სახელები შეცვლილია)

ფსიქოლოგს გოგონამ მოაკითხა დახმარებისთვის. როგორც სალომე ამბობს, დედა საზღვარგარეთ არის სამუშაოდ წასული და ნახევარძმასთან ერთად მამინაცვალთან უწევს ცხოვრება. მამინაცვალი ცემს, უყვირის, რადგან ხშირად სვამს და მასთან ურთიერთობა შეუძლებელია. ამ ამბავს ვერ უყვება დედას, რადგან ის შორს არის და ვერ დაეხმარება. ამის ნიადაგზე ის აგრესიული და გაღიზიანებულია. რამდენჯერმე სცადა სახლიდან გაქცევა, მაგრამ იმის შიშით, რომ უარეს დღეში აღმოჩნდებოდა, უკან მობრუნდა. არ იცის, რა გააკეთოს, ვის მიმართოს, დაბნეული და შეშინებულია.
ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ სალომემ შეძლო მობილიზება, დაიწყო საკუთარი თავის დაცვა, დედას შეატყობინა ეს ამბავი, მან კი მაშინვე დაიწყო ქმარზე ზემოქმედება. თანხას ის ამჯერად უგზავნის ოჯახის ახლობელს, რომელიც ბავშვებს მეურვეობას უწევს. გოგონა აგრძელებს ფსიქოლოგთან რეაბილიტაციას, სანამ დეპრესიული ფონი მთლიანად არ გაუქრება.

ლარისა ფსიქოლოგთან ერთი წლის წინ იყო, ამჯერად ისევ დასჭირდა დახმარება. შვილი მუდმივად სვამს. რადგან დედა ეწინააღმდეგება, მის მიმართ გამოხატავს აგრესიას, ფიზიკურ

შეურაცხყოფაზე გადადის. ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ ლარისასთან ურთიერთობა იურისტმა დაიწყო. მოიპოვეს ინფორმაცია, რომ არსებობს ორგანიზაცია, რომელსაც აქვს პროგრამა ალკოჰოლიკების დასახმარებლად. ლარისა ამზადებს დოკუმენტებს, რომ ამ პროგრამაში მოხვდეს და საკუთარ შვილს დაეხმაროს.

გასული თვიდან იურისტი ქუთაისში ყოფილი სასტუმრო „ხვამლის“ შენობაში ჩასახლებულ დევნილებთან პრობლემის ადვოკატირებაზე მუშაობს. ისინი ითხოვენ დადგინდეს, რამდენად ექვემდებარება მათი საცხოვრებელი შენობა რეაბილიტაციას. გაიგზავნა წერილი შესაბამის სამსახურებში. რეაგირება უკვე დაიწყო. შენობა გამოიკვლიეს და ელოდებიან ექსპერტიზის პასუხს. ადვოკატირება პასუხის შესაბამისად გაგრძელდება.

ფსიქოლოგთან ერთი თვე გადიოდა რეაბილიტაციას ახალგაზრდა დედა შვილებთან ერთად. გოგონები ტყუპები არიან, მეოთხეკლასელები. ერთმანეთს ძალიან გვანან არა მხოლოდ ვიზუალურად, ხასიათითაც. შინაგანად ორივეს სურს პირველობა. მათი ხასიათიდან გამომდინარე, მუდმივად კონკურენციის რეჟიმში ცხოვრობენ. თუ ერთმა მაღალი ქულა მიიღო სკოლაში, მეორე ცდილობს ეს უპირატესობა არ შეარჩინოს. მათ შორის მუდმივად კონფლიქტური სიტუაციაა, რაც ხშირად თმების თრევით და ცემით მთავრდება. დედა საგონებელში იყო ჩავარდნილი, ვერ ახერხებდა ბავშვების მართვას. ერთთვიანი სეანსის შემდეგ ბავშვებმა ისწავლეს ურთიერთობა, გაითვალისწინეს ფსიქოლოგის რჩევები, როგორ მართონ შინაგანი აგრესია, ერთმანეთს როგორ დაეხმარონ. დედა ამბობს, რომ ბავშვები შეიცვალნენ და ისწავლეს ურთიერთობა ერთმანეთთან.